საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კურელა (Kurella) ალფრედ

კურელა (Kurella) ალფრედ (ფსევდ. ვ. ციგლერი, ვ. რებიგი, ა. ბერნარდი) (2. V. 1895, ოდერის ბჟეგი, პოლონეთი, – 12. VI. 1975, ბერლინი), გერმანელი მწერალი. 1934–54 ცხოვრობდა რუსეთში. საქართველოსთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა (1928-იდან). 3 წელი ცხოვრობდა აფხაზეთის სოფ. ფსხუში. თარგმნა ვაჟა-ფშაველას პოემები, ს. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, ი. ნონეშვილის ლექსები, დაწერა კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ გერმ. გამოცემის ბოლოსიტყვაობა (მცირე შემოკლებით დაიბეჭდა გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 1969, №46). ყურადღებას იმსახურებს მისი წერილი „დიდი მნიშვნელობის შეხვედრა“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, №47), 1956 გამოსცა დასურათებული ალბომი „მშვენიერი კავკასია“. კ-ს ცხოვრების ერთ ეპიზოდს ასახავს გ. რჩეულიშვილის მოთხრობა „სიკვდილი მთებში“.

შ. რევიშვილი